სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

დავით აღმაშენებლის გამზირი №150
0112 თბილისი, საქართველო
+995 32 2439503 / +995 32 2439510
info@nea.gov.ge
nea.gov.ge

05 სექტემბერი 2024

N 21/9522

სს „რუსთავის აზოტს“
მის: ქ. რუსთავი, მშვიდობის ქ. №2
ელ. ფოსტა: info@rustaviazot.ge

ასლი: სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრს

სააგენტომ განიხილა თქვენი №7961 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება ქ. რუსთავში არსებული ქიმიური საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილებას და გაცნობებთ შემდეგს:

- სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ 2024 წლის 26 აგვისტოს წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, საწარმოში განხორციელებული ინსპექტირების შედეგად დადგინდა, რომ ტარა-შესაფუთი საამქროს მიმდებარედ 10 ტონაზე მეტი სახიფათო ნარჩენების დროებითი შენახვის ობიექტი არ არის მოწყობილი გზშ-ის ანგარიშის შესაბამისად. კერძოდ, აღნიშნული ობიექტის განთავსება გათვალისწინებული იყო ტარა-შესაფუთ საამქროსთან არსებულ თავისუფალ ტერიტორიაზე, რომელიც დაყოფილი უნდა ყოფილიყო 2 სექტორად. პირველ სექტორში განსაზღვრული იყო ტომრების ნარჩენების შეტანა და დასაწყობება, ასევე, პოლიეთილენისა და პოლიპროპელენის ტომრების განცალკევება და ცალ-ცალკე ტომრებში განთავსება, ხოლო მეორე სექტორში უნდა მომხდარიყო განცალკევებული პოლიეთილენისა და პოლიპროპელენის ტომრების დასაწყობება. გზშ-ის ანგარიშის 4.10.4.1 ნახაზის მიხედვით, ნარჩენების დროებითი შენახვის ობიექტის ფართობი შეადგენს 400 $მ^2$-ს. ამავე ანგარიშის მიხედვით, ნარჩენების დროებითი შენახვის და წინასწარი დამუშავების ობიექტზე წარმოქმნილი ჩამდინარე წყლების შეგროვება გათვალისწინებულია ობიექტის მიმდებარედ დაპროექტებულ ორსექციან რკინა-ბეტონის ორმოში, სადაც ჩამდინარე წყლები პირველად შედის ზეთდამჭერ სექციაში, ხოლო შემდგომ გადადის ნეიტრალიზაციის სექციას, რომელშიც ხდება სასუქებით დაბინძურებული წყლის ამიაკით განეიტრალება. ინსპექტირების შედეგად დადგინდა, რომ ტარა-შესაფუთი საამქროს მიმდებარედ მოწყობილია ორი უბანი. აღნიშნული უბნიდან ერთი, რომელიც განთავსებულია 400 $მ^2$ ფართობზე, შემოსაზღვრულია მავთულის ღობით, თუმცა, დარღვეულია ღობის მთლიანობა და არ არის დაცული უცხო პირთა შეღწევისაგან, ხოლო მეორე უბანი პირობითად დაყოფილია ორ სექტორად, რომელთა შორის მოწყობილია სანიაღვრე არხი, საიდანაც სანიაღვრე წყლები მილის საშუალებით უნდა ჩავიდეს ორსექციიან რკინა-ბეტონის ორმოში. ინსპექტირებისას დადგინდა, რომ მეორე უბნის ფართობია 2983 $მ^2$, რაც არ შეესაბამება გზშ-ის ანგარიშში მოცემულ ინფორმაციას. ზემოაღნიშნულის საფუძველზე, სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის ადმინისტრაციული მიწერილობით, შპს „რუსთავის აზოტს“

განესაზღვრა ვალდებულება ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან არაუგვიანეს 2 თვის ვადაში, მითითებული ცვლილებების გათვალისწინებით მიმართოს სააგენტოს სკრინინგის პროცედურის გავლის მიზნით. აღსანიშნავია, რომ წარმოდგენილ სკრინინგის განცხადებაში ზემოაღნიშნული ცვლილებების და აღნიშნული ცვლილებებით გარემოს სხვადასხვა კომპონენტებზე მოსალოდნელი ზემოქმედების შესახებ ინფორმაცია მოცემული არ არის;

- წარმოდგენილ სკრინინგის განცხადებაზე თანდართულ შენიშვნებზე რეაგირების შესახებ ცხრილის მე-3 პუნქტში მითითებულია, რომ „სს „რუსთავის აზოტს“ დაგეგმილი აქვს საწარმოო ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობის მოწყობა, რისთვისაც მომზადებულია შესაბამისი პროექტი და გადაეგზავნა ქ. რუსთავის მერიის შესაბამის სამსახურს“, ხოლო ამავე ცხრილის მე-5 პუნქტში აღნიშნულია, რომ „სს „რუსთავის აზოტი“ გეგმავს საწარმოში წარმოქმნილი საწარმოო ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობის მოწყობას, რისთვისაც მომზადებულია შესაბამისი საპროექტო დოკუმენტაცია და უახლოეს პერიოდში დაგეგმილია პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების პროცედურის დაწყება“. ზემოაღნიშნული ინფორმაცია გაუგებარია და საჭიროებს განმარტებას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტო კანონმდებლობის შესაბამისად სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით გადამუშავებული სკრინინგის დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ.

მაია ბერაძე

სააგენტოს უფროსი - მ.შ.

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

https://edocument.ge/mea/public/#/9522-21-2-202409051532

ელექტრონული ხელმოწერა/QUALIFIED ELECTRONIC SIGNATURE